

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში
(ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“

საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობა „ფინანსური პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადებამ, რომლის შესაბამისად, რეორგანიზებულ უნდა იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საკვეუწეებო დაწესებულებისათვის შემოსავლების სამსახური და ჩამოყალიბდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შექმავალი სახელმწიფო საკვეუწეებო დაწესებულების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სახით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის „ფინანსური პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით წარმოდგენილ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წამოდგენილი კანონპროექტის თანახმად ცვლილება შედის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 219-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, რომელიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 179^ბ მუხლით, – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილ პირებს ნაცლად, ექნებათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის უფლებამოსილ პირებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღებით სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ დაეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

არ არის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან მიმართებაში.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

და.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

და.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არსებობს.

და.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

და.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა